



20.04.2017

## გიგა აგლაძე საქართველოსა და აზერბაიჯანში დევიდ ლინჩის ფონდის წარმომადგენლობას უხელმძღვანელებს

ქართველი რეჟისორი გიგა აგლაძე დევიდ ლინჩის ფონდის საქართველოსა და აზერბაიჯანში წარმომადგენლობის პრეზიდენტად დაინიშნა. შესაბამის შეთანხმებას ხელი გუშინ ღამე მოეწერა. გიგა „ფორტუნასთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ აშშ-სთან და ევროპასთან ამ სფეროს კუთხით ასე ახლოს არასდროს ვყოფილვართ.

### **გიგა აგლაძე:**

ამ პროექტზე წელიწადნახევარია ვმუშაობ. ვერ გეტყვით, რომ ბრძოლამ არ მომიწია, რომ ეს წარმომადგენლობა საქართველოში გახსნილიყო. მინდა გითხრათ, რომ სათავო ოფისი არის აშშ-ში, მაგრამ წარმომადგენლობები ფონდს აქვს ინგლისში, საფრანგეთში და უკრაინაში. რუსეთში მათი წარმომადგენლობა არ არის და ახლა საქართველოში გაიხსნა. ამ ეტაპზე შემოიღია იმის თქმაც, რომ სავარაუდოდ, მალე სომხეთიც

შემოგვიერთდება. ამიერკავკასიის წარმომადგენლობის ოფისი თბილისში იქნება და მას მე ვუხელმძღვანელებ. ვფიქრობ, ასე ახლოს ამ სფეროში აშშ-სთან და ევროპასთან არასდროს ვყოფილვართ.

### **გილოცავ და წარმატებებს გისურვებ. რა საქმიანობით დაკავდება ფონდი?**

ფონდს საკმაოდ მნიშვნელოვანი მისია აქვს, მათ შორისაა ისეთ საკითხებზე მუშაობა, როგორც ვეტერანებისა და ბავშვების დახმარება და გენდერული თანასწორობა, თუმცა უმთავრესი მიზანი კინომიმართულებაა.

ახლა სტუმრები მყავს, მათ შორის, ფონდის წარმომადგენლებიც. მუშაობა უკვე დიდი ხანია, დაწყებული გვაქვს. გვინდა, გავხსნათ ფილმმეიკერების ინსტიტუტი საქართველოში, სადაც კინოთი დაინტერესებული ადამიანები ბევრ რამეს ისწავლიან. მათ შორის პირადად გაიცნობენ იმ ადამიანებს, რომლებსაც ამ სფეროში სიტყვა ეთქმით. ჯერ სახელებსა და გვარებს ვერ დაგისახელებთ, მაგრამ გპირდებით, რომ ძალიან ცნობილ ადამიანებს მოვიწვევთ საქართველოში მასტერკლასების ჩასატარებლად, სტუდენტები ლოს ანჯელესშიც გაემგზავრებიან. იქნება ასევე სკაიპი-კონფერენციებიც ცნობილ ადამიანებთან.

### **დევიდ ლინჩთან პირადი შეხება გაქვს?**

მე და დევიდ ლინჩს ბოლო წელია, აქტიური მიმონერა გვაქვს იმეილების საშუალებით. მისი ოჯახის წევრებსა და წარმომადგენლებს რამდენჯერმე შევხვდი საფრანგეთში, სადაც მოგვეხსენებათ, საქმიანი ვიზიტებით ხშირად მიწვევს ყოფნა. ივნისში თავად დევიდ ლინჩსაც შევხვდები და უფრო ვრცლად ვისაუბრებთ ფონდის საქმიანობაზე ამიერკავკასიაში.

ვფიქრობ, ეს ქართული კინოსთვის და მთლიანად ქვეყნისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია და ძალიან დიდი საშუალებაა, როგორც აქამდე არ გვქონია.

ნინო მურღულია

### GIGA AGLADZE WILL MANAGE THE REPRESENTATIVE OFFICE OF DAVID LYNCH FOUNDATION IN GEORGIA AND AZERBAIJAN

The Georgian Film Director Giga Agladze was appointed on the position of the president of Georgian and Azerbaijan representative office of David Lynch Foundation. The consequent agreement was signed yesterday night. In his interview with "Fortuna" Giga mentions that we have never been so close to USA and Europe from this point of view.

Giga Agladze:

It's been one year and a half since I've been working on this project. I can't deny the fact that I had to fight for the opening of this representation in Georgia. I'd like to mention that the head office is in USA but the representative offices are in England, France and Ukraine. They don't have a representation in Russia and now it's opening in Georgia. At this stage I can say that most probably Armenia will also join us soon. The Caucasus representative office will be located in Tbilisi and I'll be managing it. I think we've never been so close to USA and Europe in this sphere.

PLEASE ACCEPT OUR CONGRATULATIONS. WE WISH YOU SUCCESS. WHAT WILL BE THE MAIN ACTIVITY OF THE FOUNDATION?

The foundation has quite a significant mission. Among them working on such questions like providing support to the veterans and children, gender equality, but the main topic is cinema.

I am hosting guests right now. Among them we have representatives of the Foundation. It's been a long time since we've started working. We want to open an Institute of Filmmakers in Georgia where people interested in cinema will be able to learn many things. They will also be able to meet persons of big influence in this sphere. I can't give you exact names right now but I promise you that we'll invite very famous persons in Georgia for conducting master-classes, the students will also be able to travel to Los Angeles. There will also be Skype conferences with the famous faces.

DO YOU HAVE A PERSONAL CONTACT WITH DAVID LYNCH?

This year me and David Lynch have an active written communication. I've met his family members and representatives several times in France, where as you know I have quite frequent business meetings. I'll be able to meet David Lynch in person in June and will speak in more details about the activity of the Foundation in Caucasus.

I think that this is a big step forward for the Georgian cinema and the whole country and is a big possibility that we've never had before.

Nino Murghulia